

Nino Jikia

ნინო ჯიქია

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*Georgia, Tbilisi*

*საქართველო, თბილისი*

## **Ghassan Kanafani. About the Writer's Style Formation** **დასან ქანაფანის მწერლური სტილის ფორმირებისთვის**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10900>

Ghassan Kanafani's works are focused on one topic - Palestinian conflict and Palestinian people's tragedy. Edward Said, an acclaimed American writer and Professor of Palestinian origin, writes that national self-consciousness is a claim to belong to a nation and some culture, have a right to feel somewhere "as between friends". Strong sense of ethnic and national identity is evident in Ghassan Kanafani's stories and poems.

Emotional imbalance, feeling of constant despair, loneliness and tragedy, constant return to the past, constant moves in time and space and monologues - everything that is very typical for Ghassan Kanafani.

**Keywords:** Edward Said, Palestinian Conflict, Identity Problem

**საკვანძო სიტყვები:** ედვარდ საიდი, პალესტინის კონფლიქტი, იდენტობის პრობლემა

აღიარებული პალესტინელი მწერლის დასან ფაიზ ქანაფანის ცხოვრების გზა ბევრ შემთხვევაში თანხედება მრავალი პალესტინელი ინტელექტუალის ცხოვრებას. მან ბავშვობიდან გაიზიარა ლტოლვილთა ბედი და მთელი დარჩენილი ცხოვრება ატარა ლტოლვილობის მძიმე ტვირთი. მისი ცხოვრებიდან გამომდინარე, დასან ქანაფანის შემოქმედება მთლიანად ფოკუსირებულია ერთ თემაზე – ესაა პალესტინის კონფლიქტი და პალესტინელი ხალხის ტრაგედია. როგორც პალესტინური წარმოშობის, წამყვან ამერიკულ უნივერსიტეტებში აღიარებული მკვლევარი და მოაზროვნე ედვარდ საიდი წერს - ნაციონალური თვითშეგნება ესაა განაცხადი, ეკუთვნოდე რომელიმე ხალხს და რომელიმე კულტურას, გქონდეს უფლება, სადღაც „თავისიანად“ იგრძნო თავი (გარდავამე, 2013, გვ. 305). ქანაფანის მოთხრობებში და რომანებში მკითხველისთვის თვალშისაცემია სწორედ ეთნიკური და ეროვნული იდენტობის გამძაფრებული გრძნობა.

დასან ქანაფანისთვის პალესტინური იდენტობის საფუძველი პალესტინის მიწაა. მისი მონოთემატური მხატვრული შემოქმედება განაპირობებს ქანაფანის მოთხრობებისა და რომანების სიუჟეტებსა და გმირების ხასიათებსაც – უბრალო პალესტინელების, მათი ოჯახების ტრაგიკულ ისტორიებს, მათ მიერ საკუთარი თავის, საკუთარი ადგილის ძიებას უცხო გარემოში. ამ სახეებს და სიუჟეტებს მწერალი გამოიხმობს პირადი თუ კოლექტიური მეხსიერებიდან. თავის ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალი ამბობს: „ჩემს რომანებში პალესტინელი ინდივიდი კი არა, კრებითი სახეა ტანჯული ადამიანისა. ჩემი აზრით, ტანჯვის ყველაზე ცხადად გადმოცემა პალესტინური ცხოვრების მაგალითზეა შესაძლებელი“ (სავჩენკო, 2004, გვ. 140).

ლიტერატურის კრიტიკოსები საუბრობენ ქანაფანის თხრობის ტექნიკაზე ფოლკლორისეულ გავლენებზე მის რომანში „ის, რაც თქვენ დაგრჩათ“. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს მეოცე საუკუნის 60-იანი წლების არაბული სალიტერატურო წრეების განსაკუთრებული ინტერესი ფოლკ-

ნერის რომანის მიმართ „ხმაური და მძვინვარება“. შესაძლოა, ეს ინტერესი იმდროინდელი არაბული კულტურული ცხოვრების და მწერლობის მხატვრულ-ლიტერატურული ტენდენციების გარდა, იმ პერიოდის ახლო აღმოსავლური ისტორიულ-პოლიტიკური რეალობითაც იყო განპირობებული. ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარება“ პირველად 1963 წ-ს ითარგმნა არაბულად და მაშინვე გახდა მხატვრულად მისაბამი ქანაფანისთვის, რომელიც არ მალავს თავის აღტაცებას „ცნობიერების ნაკადის“ ელემენტებით და აქტიურად ცდილობს ფოლკნერისეული მხატვრული ტექნიკის გადაღებას და საკუთარ შემოქმედებაში გამოყენებას. არა მხოლოდ რომანი „ის, რაც თქვენ დაგრჩათ“, არამედ დასან ქანაფანის სხვა ნაწარმოებებიც ცხადად აჩვენებს, რომ ფოლკნერის გავლენა და ცნობიერების ნაკადის ელემენტების შემოტანა ქანაფანის შემოქმედებაში არაა ერთჯერადი აქტი, არ შემოიფარგლება მისი ერთი ნაწარმოებით და არ არის განპირობებული მხოლოდ ფოლკნერით, მისი მწერლური ფასეულობებით ქანაფანის აღფრთოვანებით, არამედ ესაა ის გადმოცემის მანერა, რომელიც დასან ქანაფანის მწერლურ სათქმელსაც საოცრად კარგად მოერგო – დარღვეული სულიერი მყუდროება, მიუსაფრობის, სასოწარკვეთის გამძაფრებული გრძნობა, მარტოსულობის, ტრაგიკულობის მუდმივი განცდა, რეალურისა და ირეალურის, დროთა და სივრცეთა მიჯნის გავლების პრობლემურობა, მუდმივად დაბრუნება წარსულში, მუდმივი გადასვლები მოქმედების დროსა და სივრცეში და მონოლოგური ჩანართები – ეს ყველაფერი დასან ქანაფანის შემოქმედებისთვის ძალიან სახასიათო შტრიხებია.

ტანჯვის იდეის განვითარება ფოლკნერთან მისი რომანების მკვლევართა მიერ უკვე შენიშნულია. ისინი გამოყოფენ ფოლკნერისეულ უსასოობის სულისშემძვრელ სევდას, სამყაროსეული პესიმიზმის, უსიხარულობისა და უიმედობის განცდას. ფოლკნერის მხატვრული სამყარო წარმოუდგენელია ნგრევისა და ქაოსის გარეშე, სადაც გმირი საკუთარი თავისკენ სავალ გზას ადგება. ქანაფანიც, ფოლკნერის მსგავსად, ტანჯვას ადამიანისგან განუყოფელ მდგომარეობად მიიჩნევს, მისი გამოსახვის აუცილებელ ასპექტად; მისი ყურადღების ცენტრშიც, ისევე როგორც მისი მისაბამი ფოლკნერისა, ინდივიდის ტოტალური მარტოსულობაა მოქცეული (სავჩენკო, 2004, გვ. 139-140).

დროისა და სივრცის ახლებური მოდელირება და სწორხაზობრივი გადმოცემის მანერაზე უარის თქმა, თხრობის ტექნიკაში განსხვავებული რაკურსების გამოყენება და ბევრი სხვა რამ სწორედ ფოლკნერის გავლენად უნდა ჩაითვალოს ქანაფანის მოთხრობებსა და რომანებში და საერთოდ, XX საუკუნის დასავლური მწერლობისა და ხელოვნების მიერ დროის მიმართ თვისობრივად ახალი დამოკიდებულების გაზიარებად, როცა ფასეულობათა ახლებური გადაფასების პროცესში დრო აღარაა ობიექტური მოცემულობა, როცა მხატვრული ლიტერატურის ფოკუსში მოცემული სუბიექტური დრო – ადამიანის გრძნობათა და განცდათა დრო, მეხსიერების დრო ობიექტური საზომით არ იზომება (გელაშვილი, 2005, გვ. 3-5). მისი აღქმა სრულიად რელატიურია და ეს მოვლენა ესთეტიკურ ფენომენადაა ქცეული მოდერნისტულ ლიტერატურულ ნაწარმოებში (გელაშვილი, 2012, გვ. 113). დროის კატეგორიის ახლებურ გააზრებასა და ექსპერიმენტირებას ლიტერატურაში, რომელიც მუსიკის მსგავსად ტემპორალური, დროული ჟანრია, თავისთავად მოჰყვება შედეგად ცვლილებები სივრცის მოდელირებაშიც, რაც ყველაზე რადიკალურად „გაყინული წამის“ მხატვრულ ხორცშესხმაში გამოვლინდა (გელაშვილი, 2005, გვ. 5). თუ მიმეტური ხელოვნება დრო/სივრცის მოდელირებისას მაქსიმალურად ქმნიდა რეალურობის ილუზიას, მოდერნისტული ხელოვნება ზედროულ-მითოსურ ქრონოტიპს ქმნის (გელაშვილი, 2005, გვ. 7). მოდერნისტული ლიტერატურის მითოსისკენ შებრუნება იწვევს დროის ციკლურ წარმოდგენას მწერლობაში, სადაც ყოველი მოქმედება ერთჯერადი აქტი კი აღარ არის, არამედ – განმეორებადი (გელაშვილი, 2005, გვ. 27-29). ფოლკნერის მკვლევრები აღნიშავენ, რომ ეს ციკლური წრე ფოლკნერთან წარმოგვიდგება, როგორც გმირის ეგზისტენციური გაუცხოების სიმბოლო და ბედისწერა. ამ გაუცხოებას დროში წრიული ფორმა აქვს, ერთ წრეში ბრუნავს, ერთ მარადიულ აწმყოში, რომელიც არის „უჟამო ჟამი“ და დროს სპობს. გმირის ამ წრიდან გაქცევა თავის დაღწევის ამაო მცდელობაა (გელაშვილი, 2005, გვ. 34-35). რომანის ფინალიც ამბის დასასრული როდია, არამედ მთლიანობის ნაწილია და ეს ნაწილი შეიძლება მაღალი ტრაგედია იყოს (გელაშვილი, 2005, გვ. 36). ფოლკნერთან განსაკუთრებით სწორედ დროის გაწევა-შეჩერების ეფექტი იპყრობს ლიტერატურის მკვლევართა ყურადღებას, როცა „შედეგებუ-

ლი“ სივრცე-დროის ფარგლებში დრო უსაზღვროდ კონდენსირებული და გამძაფრებულია (გელაშვილი, 2005, გვ. 75). ასტრონომიული დროის უმცირესი მონაკვეთი შეიძლება, სუბიექტის აღქმაში უზომოდ ტევადად იქცეს, ერთმა წამმა შეიძლება, ადამიანის მთელი ცხოვრების გააზრება მოიცვას და მასში განხორციელდეს გმირის „მოგზაურობა“ საკუთარი თავისა და სამყაროს შესამეცნებლად (გელაშვილი, 2005, გვ. 74). რამდენიმე ისტორიის ერთდროული თხრობა ფოლკნერისეული მონტაჟის ტექნიკაა. სიუჟეტი წრფივად კი არ ვითარდება, არამედ იშლება–იხსნება, ან წრიულად ბრუნავს, რაც, საბოლოო ჯამში, ნაწარმოების სივრცულ ფორმას წარმოქმნის. რეალობის სარკისებური ასახვის ნაცვლად ავტორი ნაწილებად შლის რეალობას, რათა საკუთარი, უფრო მაღალორგანიზებული რეალობა შექმნას, „უძრავ მოძრაობაში“ მოიცვას მარადისობა, სადაც დრო სივრცედ იქცევა, სადაც შესაძლოა, ადამიანმა ფიქრით შეაჩეროს დროის მდინარე და მოიპოვოს დაკარგული დრო (გელაშვილი, 2005, გვ. 76-77).

როგორც ფოლკნერის ბევრ რომანშია, ქანაფანისთანაც მხატვრული დრო უკიდურესად შეკუმშულ დროის მონაკვეთს მოიცავს, რომელშიც მოგონებების სახით შემოდის წარსული. აწმყოზე წაფენილი წარსულის მოგონებები ფოლკნერისა არ იყოს, ქანაფანისთვისაც საყვარელი ხერხია, რაც სხვადასხვა დროის პლასტების საინტერესო ზედდების ეფექტს იწვევს. ამგვარი ეფექტი უპირატესად სხვადასხვა დროს განცდილ მსგავს სულიერ მდგომარეობას ან სიტუაციას აკავშირებს ერთმანეთთან, ადამიანის ცნობიერებაში დროის შეჩერების, უდროობის ან ყველა დროის თანაარსებობის ილუზიას ქმნის (გელაშვილი, 2012, გვ. 114). სამივე დროის ერთიანობის, დროის სხვადასხვა პლასტების ერთ სიბრტყეში თავმოყრის და მხატვრული გადმოცემის ეფექტი კი ფოლკნერთან, მისი მკვლევრების აზრით, ემსახურება მიზანს – მაქსიმალურად მიახლოებული სისავსით დახატოს ადამიანი, რომელიც ფოლკნერისთვის მხოლოდ აწმყოში კი არ არსებობს, არამედ ყოველი მისი ფიქრი და ქმედება წარმოადგენს ერთობას მისი წარსულისა და პოტენციური მომავლისა (გელაშვილი, 2012, გვ. 113).

დროის ნოვატორულ და ციკლურ გააზრებას ზოგადად მოდერნისტულ ლიტერატურაში და ფოლკნერთან ბევრ მის რომანში უკავშირდება მამიებელი გმირის და გზის სიმბოლიკაც, როცა გზას დამდგარი პერსონაჟის ან პერსონაჟების თავგადასავალი სიუჟეტურ სქემად წარმოგვიდგება, რომლის მეშვეობითაც მწერალი ალაგებს თავის სათხრობს, გზა კი პერსონაჟის მიერ საკუთარი თავის ძიების, სამყაროს შეცნობის პროცესის სიმბოლური გამოხატულებაა (გელაშვილი, 2010, გვ. 37). მოგზაურობის პირველი საფეხური ზღურბლის გადალახვაა, როცა ზღურბლი ორი დიამეტრალურად განსხვავებული სამყაროს მიჯნაა – უინტერესო, უღიმღამო საკუთარი სივრცისა და უცნობი, ფათერაკებით აღსავსე გარე სივრცის, გარე სამყაროსი (გელაშვილი, 2010, გვ. 38). ზღურბლის გადალახვა გმირის რთული და მტკივნეული არჩევანის მომენტია და ზღურბლის გადალახვის შემდეგ უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილია (გელაშვილი, 2010, გვ. 38). თუკი ზღაპრულ–მითოლოგიური ზღურბლის გადალახვას, ჩვეულებრივ, დამხმარის მეშვეობით ახერხებს გმირი, ფოლკნერთან ზღურბლის გადალახვა ტრავესტირებულია და დამხმარე ბრძენის ან მეგობრის ნაცვლად გმირებს ფულის გაკეთების მოსურნე გაიძვერა ევლინებათ. ზღაპრულ–მითოლოგიური პერსონაჟის ინიციატია, ახლად დაბადება თუკი გზაზე დადგომით მიღებული ცოდნის ზიარება და მითის წრიული გზით უკან დაბრუნების შემდეგ ამ მოპოვებული ცოდნის გამოყენებაა, ფოლკნერთან გმირის დაბრუნება ნაკლებმნიშვნელოვანი ან საერთოდაც, შეუძლებელია, რადგან მამიებელი გმირი იღუპება (გელაშვილი, 2010, გვ. 40). ამის ახსნას მკვლევრები ისევ მოდერნისტულ კრიზისულ მსოფლმხედველობაში ეძებენ, როცა უღმერთო და დაცემულ სამყაროში მამიებელი გმირიც სახეს იცვლის – ფსიქიურად გაუწონასწორებელი, გარიყული, ტრაგიკული და განწირულია, რაც საბოლოოდ, მის დაღუპვას იწვევს, მის მიერ საკუთარი თავის ძიება და რეფლექსიებიც მხოლოდ მის შინაგან გამოცდილებად რჩება, მისი ამაღლებული ტრაგედიაც ბანალური ცხოვრების მხოლოდ მცირე ნაწილია და ასეთადვე რჩება (გელაშვილი, 2010, გვ. 40-41).

ქანაფანის რომანი „ჰაიფაში დაბრუნება“ ჰაიფადან 1948 წელს გამოდევნილი პალესტინელი ცოლ–ქმრის დაბრუნებას აღწერს ოცწლიანი არყოფნის შემდეგ ქალაქში, რომელთანაც მათ სხვა დევნილებზე დიდი ტკივილი აკავშირებს – 20 წლის წინ მათ იქ თვეების შვილი დარჩათ და წლე-

ბის მანძილზე შორიდან მისი ამაო ძებნის მიუხედავად, გულის სიღრმეში მისი პოვნის იმედის მაგი ჯერაც არ გაუწყვეტიათ.

ამ მოგზაურობით ცოლ-ქმარი შვილთან ერთად საკუთარ თავსაც ეძებს, საკუთარი შეცდომების გასაღებს წარსულში. მშობლიურ ქალაქში დაბრუნებისას, საკუთარ წარსულთან ხელახალი შეხვედრისას განცდილი დანაკარგი ცოლ-ქმრის წარსულის დანაკარგზე დიდია. ისინი პოულობენ დაკარგულ შვილს, მაგრამ ამასთანავე სამუდამოდ კარგავენ მას – ის იუდეველ ებრაელადაა გაზრდილი და ფანატიკურად ემსახურება ისრაელის სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებას. ამით კიდევ უფრო ძლიერდება ნაწარმოების ტრაგიკულობა და უიმედო მომავლის მტკივნეული შეგრძნება (გარდავაძე, 2013, გვ. 307).

რომანის მხატვრული დრო უკიდურესად შეკუმშულია, ის დაბრუნების ერთ დღეს მოიცავს, რომელშიც მთელი სიმძაფრით შემოიჭრება ოცწლიანი წარსული თავისი ტკივილიანი მოგონებებით და გაერთიანებული აწმყო და წარსული იტევს ბოლო ოცი წლის ფიქრებს, ფანტაზიებს, წარმოსახვებს და განცდებს. დროისა და სივრცის თავისებური გააზრება თავს იჩენს როგორც ნაწარმოების შინაარსის, ისე მისი მხატვრული ქსოვილის დონეზე. რა არის სამშობლო? – კითხულობს ქანაფანის გმირი. ის ნამდვილ პალესტინას ეძებს, პალესტინას, რომელიც ხსოვნაზე მეტია. საკუთარ თავს ეკითხება:

„რა არის პალესტინა მისი ვაჟისთვის, რომელიც ემიგრაციაში დაიბადა, აქაურობა სულ არ იცის და ამ ყველაფრის მიუხედავად, მას პალესტინა უღირს საიმისოდ, რომ კაცმა იარაღი აისხას და მოკვდეს მისთვის! ის აცნობიერებს, რომ პალესტინიდან იძულებით განდევნილი პირველი თაობისთვის სამშობლო მხოლოდ წარსულია! აი, მათი შვილებისთვის კი სამშობლო მომავალია! მშობლების შეცდომების იარაღით გამოსწორების შანსის იმედი“ (Kanafani 2013, გვ. 98).

და მაინც, არც ერთ მათგანს აწმყო არა აქვს. ეს არის დროსა და სივრცეში დაკარგული ხალხი. ასეთი მძიმე მემკვიდრეობით კი თავის გატანა და სადმე დამკვიდრება ძალიან ძნელია (გარდავაძე, 2013, გვ. 308).

ქანაფანის მეორე რომანი „კაცები მზეში“ პალესტინელი ლტოლვილების გაუსაძლის ყოფას აღწერს, მათ განწირულ მცდელობას, დაიმკვიდრონ საკუთარი ადგილი მზისქვეშეთში. ისინი, მეზობელ ქვეყნებს თვშეფარებულნი, ცხოვრობენ იქ „დროებით, სანამ ყველაფერი გაირკვევა“. რომანის ნარატივს ავტორი რამდენიმე დამოუკიდებელი ხაზის ერთი მოგზაურობაში გაერთიანებით აგებს – დამოუკიდებელი თხრობის ხაზები სამი სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის, დაახლოებით ერთნაირი, საშუალო სოციალური ფენის წარმომადგენელ მამაკაცს ახვედრებს ქ. ბასრაში, კონტრაბანდისტის ძიებაში, რომელმაც ისინი გარკვეული გასამრჯელოს ფასად ქუვეითში უნდა გადაიყვანოს. ქუვეითი მათ წარმოსახვაში არის მათი გაჭირვებული ყოფიდან თავის დასაღწევი ადგილი. ქანაფანისთვის, ფოლკნერის მსგავსად, ინდივიდი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია, ისინი ჩაბმულნი არიან უბედურებათა საბედისწერო, ერთიან ჯაჭვში, რომლის გარღვევასაც ამ გამგზავრებით ლამობენ, მაგრამ ამაოდ. სამწუხაროდ, მათი მცდელობა ტრაგიკულად მთავრდება. რომანის გმირები გზაში ცისტერნით გადაყვანისას იღუპებიან. რომანის მხატვრული დრო აქაც შენელებული კადრით ამ მოგზაურობაზეა ფოკუსირებული, სადაც მოგონებებად შემოდის წარსული. ისევე როგორც პირველ რომანში „ჰაიფაში დაბრუნება“, აქაც მოგზაურობით დაწყებული თვითშემეცნების და თვითძიების პროცესი შედეგს არ იძლევა, ის ტრაგიკული დასასრულისთვისაა განწირული, მეტიც, ამბის ამგვარი ტრაგიკული დასასრულისთვის მკითხველი თითქოს რომანის კითხვის დაწყებიდანვე ემზადება და სტრიქონ-სტრიქონ უძლიერდება რაღაც საშინელის, გამოუსწორებელის მოლოდინი და წინათგრძნობა. ის მზადაა, ლამის შეგუებულია ტრაგიკულ ფინალს.

როგორც ფოლკნერთან, ქანაფანისთვისაც გმირის დაბრუნება ნაკლებმნიშვნელოვანია ან საერთოდაც, შეუძლებელია, რადგან მამიებელი გმირები იღუპებიან, მათი ამაღლებული ტრაგედია პალესტინური, უსასოო ტანჯვით აღბეჭდილი ბანალური ცხოვრების მხოლოდ მცირე ნაწილია და

ასეთადვე რჩება. რომანების ფინალიც თითქოს ამბის დასასრული როდია, არამედ მთლიანობის ნაწილია და ეს ნაწილი, ფოლკნერისა არ იყოს, შეიძლება ამაღლებული ტრაგედია იყოს.

ვფიქრობ, ქანაფანის ნაწარმოებებში ფოლკნერისეული ცნობიერების ნაკადის ტექნიკა იმდენად ორგანულად ეწერება და ერწყმის, იმდენად ბუნებრივი სახასიათო შტრიხებითაა გაჯერებული, რომ საკითხის გაუბრალოება იქნება, ვილაპარაკოთ მხოლოდ ქანაფანიზე ფოლკნერის გავლენებზე, უფრო ბუნებრივი იქნება, თუ ვიტყვით, რომ გადმოცემის ეს მანერა, ფოლკნერის მიერ დამკვიდრებული ცნობიერების ნაკადის ეს ტექნიკა საოცრად კარგად ერგება ქანაფანის მწერლურ სათქმელს და მწერლურ სტილს, ის მისთვის ბუნებრივი და ორგანულია, ყოველგვარი ხელოვნური მიბაძვისგან თავისუფალი.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- გარდავაძე, დ. (2013). პალესტინური იდენტობა დასან ქანაფანის რომანებში „ჰაიფაში დაბრუნება“, „კაცები მზეში“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარულობა და ჰუმანიტარული აზროვნება“ (გვ. 305-309). ქუთაისი.
- გელაშვილი, მ. (2005). დროის პრობლემა მოდერნისტულ ლიტერატურაში. თბილისი: „ზეკარი“.
- გელაშვილი, მ. (2010). გზის მითოლოგია ფოლკნერის შემოქმედებაში. ამერიკის კვლევები: V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (გვ. 37-42). ქუთაისი.
- გელაშვილი, მ. (2012). დროისა და სივრცის მოდელირება ფოლკნერის რომანში „მტვერში შემოჭრილი“. ამერიკის კვლევები: VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (გვ. 107-117). ქუთაისი.
- Kanafani, Gh. (2013). Haipashi Dabruneba (D. Gardavadze, Trans.) [Returning to Haifa]. Literary Palette (pp.82-98).
- Kanafani, Gh. (2013). Kacebi Mzeshi (D. Gardavadze, Trans.) [Men in the Sun]. Literary Palette (pp. 64-87).
- Murad, N. Yu., & Savchenko, A. L. (2004). Roman Ghassana Kanafani “Chto vam ostalos” v kontekste literaturnykh iskanij XX veka [Ghassan Kanafani’s novel “All that’s Left for You” in the context of 20th-century literary researches]. Vestnik VGU. Series of Humanities (pp.124-141).

#### References:

- Gardavadze, D. (2013). P’alest’inuri ident’oba Gassan Kanapanis romanebshi “Haipashi Dabruneba”, “Katsebi Mzeshi” [Palestinian identity in Ghassan Kanafani’s novels “Returning to Haifa” and “Men in the Sun”]. The International Scientific Conference “Contemporary Interdisciplinarity and Humanitarian Thought” (305-309). Kutaisi.
- Gelashvili, M. (2005). Drois p’roblema modernist’ul lit’erat’urashi. [The problem of time in modernist literature]. Tbilisi: Zek’ari.
- Gelashvili, M. (2010). Gzis mitologema Polk’neris shemokmedebashi. [The mythology of the road in Faulkner’s works]. In American Studies: Materials of the V International Scientific Conference (37-42). Kutaisi.
- Gelashvili, M. (2012). Droisa da sivrtsis modelireba Polk’neris romanshi “Nesht’is Shembilts’veli” [Modeling of time and space in Faulkner’s novel “Intruder in the Dust”]. In American Studies: Materials of the VI International Scientific Conference (107-117). Kutaisi.
- Kanafani, Gh. (2013). Haipashi Dabruneba (D. Gardavadze, Trans.) [Returning to Haifa]. Literary Palette (pp.82-98).
- Kanafani, Gh. (2013). Kacebi Mzeshi (D. Gardavadze, Trans.) [Men in the Sun]. Literary Palette (pp. 64-87).
- Murad, N. Yu., & Savchenko, A. L. (2004). Roman Ghassana Kanafani “Chto vam ostalos” v kontekste literaturnykh iskanij XX veka [Ghassan Kanafani’s novel “All that’s Left for You” in the context of 20th-century literary researches]. Vestnik VGU. Series of Humanities (pp.124-141).